ხელშეკრულება N 119

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 31. 12. 2015 წ.

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (შემდგომში - „**შემსყიდველი**“), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის **გიორგი ბაბაკიშვილის** სახით და **შპს „მაგთიკომი“** (შემდგომში - „**მიმწოდებელი**“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის **გია კოშორიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საკომუნიკაცია მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ 2012 წლის 26 სექტემბრის საქართველოს მთავრობის N1805 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული **სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახურის საკომუნიკაციო მომსახურება (CPV64210000).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 18 000.00 (თვრამეტი ათასი) ლარს.
2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.
3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველის (დანართი N2-ში დაფიქსირებული ნომრების) ქსელში ჩართვა ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მომსახურების გაწევა 2016 წლის 1 იანვრიდან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) განახორციელოს სატელეკომუნიკაციო სისტემის უზრუნველყობა რაც მოიცავს:

ბ.ა) E1 - ხაზის გამართულ ფუნქციონირებას;

ბ.ბ) მოთხოვნის შესაბამისად SIP არხის უზრუნველყოფას;

გ) უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე საჭირო აპარატურის მონტაჟი. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ მიწოდებული და მის მიერ შემსყიდველის ტერიტორიაზე დამონაჟებული, თუ შემსყიდველისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული აღჭურვილობა წარმოადგენს მაგთიკომის საკუთრებას.

ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული აპარატურა უბრუნდება მაგთიკომს.
დ) უზრუნველყოს თავისი ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და დროულად აღმოფხვრას შედეგები.

ვ) უზრუნველყოს დანართი N1-ში ჩამოთვლილი მომსახურებებით უზრუნველყოფა, დანართი N2-ში დაფიქსირებულ ნომრებზე,

ზ) აპარატურისა და მოწყობილობების შემსყიდველთან განთავსებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაითვალისწინოს განთავსების ადგილისა და პირობების შესაბამისობა მათი მწარმოებლის მიერ დადგენილ ექსპლუატაციის ტექნიკურ ნორმებთან;

თ) უზრუნველყოს არხის შესაბამისობა ტექნიკურ ნორმებთან და პარამეტრებთან ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ი) წინასწარ 1 (ერთი) დღით ადრე შეატყობინოს შემსყიდველს ქსელზე ტექნიკური ან რაიმე სხვა სახის სამუშაოს ჩატარების შესახებ.

კ) დაიცვას კონფიდენციალურობა აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის მთელ პერიოდში.

ლ) აწარმოოს ქსელის მუდმივი მონიტორინგი პრობლემების წინასწარ გამოვლენის და ქსელის და აპარატურის გამართული ფუნქციონირების მიზნით და უზრუნველყოს მონიტორინგის სისტემაში შემსყიდველის წვდომა მისთვის განკუთვნილი უფლებებით.

მ) ქსელის ან/და ტექნიკური მოწყობილობების დაზიანების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას გაუმართავობა.

ნ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ო) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ტექნიკური საშუალებით უზრუნველყოს აღნიშნული კავშირის ინტერფეისი შპს „მაგთიკომი"-ს აღჭურვილობასთან, სადაც განლაგებულია აპარატურა. თუ ამ დროს ან შემდგომში დადგინდა, რომ შემსყიდველის მიზეზით დაზიანდა შპს „მაგთიკომი"-ს აპარატურა, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს შპს „მაგთიკომი"-ს მიყენებული ზიანი.

ბ) არხით სარგებლობისას და მოწყობილობის განთავსებისას მკაცრად დაიცვას მწარმოებლის მიერ დადგენილი აღჭურვილობის ექსპლუატაციის ტექნიკური ნორმები, რომელიც შემსყიდველს გადაეცემა მაგთიკომის მიერ აღჭურვილობის დამონტაჟების დროს, თუ მხარეები ხელშეკრულების ამ პუნქტისგან განსხვავებულ წესზე არ შეთანხმდნენ.

გ) ხელი შეუწყოს და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს შპს „მაგთიკომი"-ს ქსელის მშენებლობის პროცესში.

დ) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის მოვლა და დაცვა.

ე) ნებისმიერ დროს დაუშვას და მისცეს საშუალება შპს :მაგთიკომი"-ს უფლებამოსილ თანამშრომლებს განახორციელონ შემსყიდველის წერტილებზე დამონტაჟებული აპარატურის გეგმიური პროფილაქტიკური რემონტი თუ სხვა სამუშაოები.

ვ) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობისათვის ფართის გამოყოფა, წერტილის მონტაჟის ადგილებზე უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგება და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჭირო ნებართვის გაცემა.

ზ) წინასწარ, ხუთი დღით ადრე, წერილობით შეატყობინოს მაგთიკომს კონკრეტული წერტილის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ.

ი) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. მაგთიკომს უფლება აქვს შეაჩეროს ან/და გადაავადოს შემსყიდველის წერტილზე აპარატურის მონტაჟი და მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ წერტილზე ტექნიკურაად შეუძლებელია კავშირის უზრუნველყოფა, მათ შორის ტექნოლოგიური, ტექნიკური და სხვა კუთხით. შემსყიდველის სტრუქტურების თანამშრომლებს არ აქვთ უფლება შეცვალონ ან სხვაგვარად მოახდინონ პარამეტრების მოდიფიცირება მაგთიკომის აღჭრვილობაზე წინასწარი შეტყობინების და ამ უკანასკნელის წარმომადგენლების თანდასწრების გარეშე. შემსყიდველს არ აქვს უფლება შეცვალოს ან სხვაგვარად მოახდინოს პარამეტრების მოდიფიცირება მიმწოდებლის აღჭურვილობაზე წინასწარი შეტყობინების და ამ უკანასკნელის წარმომადგენელების თანდასწრების გარეშე.

5. მომსახურების ხარისხი

1. მიწოდებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და დანართ N1-ში გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

2. მომსახურება ხელმისაწვდომია დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და შეესაბამება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და მიმწოდებლის ლიცენზიის პირობებს 3.2 და 3.3 პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით.

3. ქსელის აგებულების თავისებურებებიდან გამომდინარე მომსახურება და მისი ხარისხი დამოკიდებულია სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების, მათ შორის საქალაქთაშორისო ან საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების ოპერატორების მოწყობილობების და მათი ფუნქციონირების ხარისხზე, რომელიც სცილდება მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ფარგლებს.

4. დაზიანებად არ მოიაზრება მომსახურების შეწყვეტა შემდეგი მიზეზებით: სასადგურო და სახაზო მეურნეობების გეგმიური შეკეთება და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, სატელეფონო ქსელის გეგმიური გაზომვების გამო შეფერხება

(რაც არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს), ასს-ს (ავტომატური სატელეფონო სადგური) გაჩერება ელექტროენერგიის მიწოდების გამო, ასს-ს (ავტომატური სატელეფონო სადგური) პროგრამულ უზრუნველყოფაში დროებითი შეფერხება და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად.

2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი ან/და პირთა ჯგუფი, ან კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი).

3. ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 12 (თორმეტი) დღეში გამოასწოროს წუნი, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **ჯაბა ხმალაძე**.

8. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ყოველთვიურად მიღებული მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება.

4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორსმაჟორული გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, ბუნებრივი კატაკლიზმები და მოვლენები, მათ შორის: მიწისძვრა, სეტყვა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, ეპიდემია, ან პანდემია, გაფიცვა, ლოკაუტი, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, კრიმინალური, ან ტერორისტული აქტი, ოფიციალურად გამოცხადებული, ან გამოუცხადებელი სამარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, საგანგებო, ან საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, ემბარგო, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმედებები, სანქციები, ან აქტები, მიმწოდებლის კონტრაქტორების, ან ქვეკონტრაქტორების მიზეზით გამოწვეული შემთხვევები, მათ შორის, მიმწოდებლების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ მიმწოდებლის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობა, უჩვეულო ან არაპროგნოზირებადი გადატვირთვები და შეფერხებები ცალკეულ საბაზო სადგურზე, დამაკავშირებელი კაბელის დაზიანება, შეფერხებები მიმწოდებლის და შემსყიდველის საკომუნიკაციო ქსელების მიერთებასთან, ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში, მიმწოდებლის საკომუტაციო სადგურზე, მაგისტრალურ საკომუნიკაციო არხებში, ასევე მომსახურების შეფერხება და შეწყვეტა, რომელიც გამოწვეულია იმ სამუშაოების ჩატარებით, რომლებიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას, ან მის გაუმჯობესებას, ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მომსახურების შეფერხება და შეწყვეტა, რომელიც გამოწვეულია მესამე პირთა მხრიდან და რომელთა ადმინისტრირება, ან კონტროლი ხორციელდება მესამე პირთა მიერ და სცდება მიმწოდებლის შესაძლებლობის ფარგლებს.

3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

2. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა N16,
ტელეფონი: 032 226 1072, 032 226 1095. 032 226 1392;
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204577813

მიმწოდებელი

შპს „მაგთიკომი“
მისამართი. ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ N5
ტელეფონი: 032 217 1717, 032 217 1777, 595151313
საბანკო რეკვიზიტები: ა.ნ GE66BG0000000241607901,
ბანკის კოდი: BAGAGE22 / „საქართველოს ბანკი“ ც/ფ
სკ-204876606

დანართი N1

ფიქსირებული ქსელის სატელეფონო მომსახურების ტარიფები:

მომსახურება	ღირებულება ლარი დღგ-ს ჩათვლით
საბონენტო გადასახადი თითოეულ ნომერზე	0
საქართველოს ფიქსირებული ქსელის მიმართულებით	0.04
მაგთიკომი	0.08
ჯეოსელის და ბილაინის მობილურის მიმართულებით	0.1
მიმწოდებლის ქსელში ჩართული შემსყიდველის მობილური კორპორატიული ჯგუფის მიმართულებით	უფასო

სართაშოროსი მიმართულების ტარიფები:

ქვეყანა	ფიქს. მიმართულებით	მობ. მიმართულებით
მოსკოვი	0.1	0.23
რუსეთი	0.5	0.23
თურქეთი, უკრაინა, ყაზახეთი, უზბეკეთი ტაჯიკეთი ყირგიზეთი	0.4	0.4
აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, მოლდოვა	0.6	0.6
გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, თურქეთი, იტალია, კვიპროსი, საფრანგეთი, საბერძნეთი	0.15	0.4
ევროპის დანარჩენი ქვეყნები	0.15	0.6
აშშ, კანადა	0.15	0.15
ამერიკის სხვა ქვეყნები	0.6	0.6
ჩინეთი	0.15	0.15
ინდოეთი, ისრაელი, იაპონია	0.15	0.4
აზიის დანარჩენი ქვეყნები	0.6	0.6

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი N2

1	2261001	50	2261662
2	2261005	51	2261663
3	2261016	52	2261666
4	2261017	53	2261654
5	2261018	54	2261652
6	2261030	55	2261653
7	2261044	56	2261551
8	2261072	57	2261099
9	2261090	58	2261171
10	2261095	59	2261657
11	2261096	60	2261658
12	2261097	61	2261659
13	2261098	62	2261660
14	2261137	63	2261664
15	2261138	64	2261665
16	2261178	65	2262262
17	2261181	66	2261002
18	2261251	67	2261003
19	2261273	68	2261004
20	2261274	69	2261006
21	2261278	70	2261007
22	2261292	71	2261008
23	2261293	72	2261021
24	2261312	73	2261022
25	2261332	74	2261023
26	2261350	75	2261051
27	2261380	76	2261052
28	2261392	77	2261053
29	2261393	78	2261054
30	2262666	79	2261056
31	2261472	80	2261057
32	2261511		
33	2261562		
34	2261564		
35	2261565		
36	2262226		
37	2262555		
38	2262626		
39	2262728		
40	2262888		
41	2262929		
42	2262999		
43	2262989		
44	2261565		
45	2261564		
46	2261500		
47	2261656		
48	2261655		
49	2261661		

შემსყიდველი

მიმწოდებელი